

ნატო ბერიძე¹

საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

<https://doi.org/10.52340/sou.2022.20.01>

ნასახელარ ზმნათა სტრუქტურული ყალიბები და გაზმნავების ტენდენციები სამხრულ კილოებში

აბსტრაქტი. ნასახელარი ზმნები და ნაზმნარი სახელები ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრების ერთ-ერთი საშუალებაა. მისგან ახალ ზმნათა წარმოება კი კიდევ უფრო საინტერესოა ხელახალი სიტყვაწარმოების თვალსაზრისით. საკითხი საინტერესო და აქტუალურია (განსაკუთრებით სამხრულ კილოებში) უცხოურ ფუძეთაგან ნაწარმოები ნასახელარი ზმნების შემთხვევაში.

პუბლიკაციის მიზანია, ნაზმნარ სახელთაგან ნაწარმოებ დენომინატივთა შესწავლა სამხრული კილოების: აჭარულის (შიდა დიალექტი) და შავშურის, კლარჯულის, ტაოურის (გარე დიალექტები) მიხედვით; ქართულ და უცხოურ (აღმოსავლურ) ნაზმნარ სახელთაგან ნაწარმოები ზმნების გაანალიზება. სამხრულ კილოებში ნასახელარი ზმნის ფუძეთა უმეტესობა საწყისია: *გვადუნნი, ბლაცუნნი, ლარწუკი... ფერხულობს, ებადუნება, ეგვადუნება, ებლაცუნება, ელარწუკება* და ა. შ.; ზოგი მათგანი ფუძეგაორკეცებულია: *ცუნცრუკებს, პუკპუკებს, წიკწიკებს*. მასდარისგან ნაწარმოები ფორმა ცოტაა: *ჯინქვავს, აფეშვებს*. საინტერესოა ტაოურში დადასტურებული *ხვარათობა, ფართობა... აქ დიალექტიზმები ჭარბობს არქაიზმებს*.

საკმაოდ პროდუქტიულია ახალ ზმნათა უცხოური ნაზმნარი სახელებისგან წარმოება, განსაკუთრებით ბევრია საწყისთაგან ნაწარმოები ნასახელარი ზმნა: *ტადლუჯობა, ქიბრობა, ყაშპრობა, ყაჯირობა, ფიშმანობა, ზახმეთობა, მერაცობა, ყვპრობა, ხიზმეთობა, ყავლობა, ჩინგნობა, ჰვესობა, დადინგლება, დასუნნათება, დაბარიშება, წაყათმიშება, გათერბილება*.

¹ საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

კვლევის პერსპექტივაა სამხრული დიალექტური მასალების გამოწვლილვით შესწავლა და შედარება ქართული ენის სხვა კილოებთან; ასევე ნასახელარ ზმნათა სტრუქტურული ყალიბების აღწერა და გაანალიზება.

საკვანძო სიტყვები: ნასახელარი ზმნა, ზმნის ფუძე, სამხრული კილო, სტრუქტურული ყალიბები.

Nato Beridze²

St. Andrews Georgian University

Structural forms of denominative verbs and deverbalization tendencies in the southern sub-dialects

Abstract. Deverbative nominal is one of the means of enriching the lexical fund of the language. Derivation of new verbs from it is even more interesting from the standpoint of re-word-formation. The issue becomes even more urgent when a foreign stem is used for derivation.

The goal of the paper is to study the denominatives derived from deverbative nominals according to the southern sub-dialects: Ajarian (internal dialect) and Shavshian, Klarjian, Taoian(external dialects); to analyze the verbs which are derived from Georgian and foreign (Eastern) deverbative nominals. Most of the stems of the denominative verbs in southern sub-dialects are *infinitive*: *gvaduni, bla *uni, lar *uki, perxulobs, ebaduneba, egvaduneba, ebla *uneba, elart *ukeba, etc.*; Some of them have re-doubled stem: *cuncrukebs, pukpukebs, *ik *ikebs*. The number of the forms derived from masdar is few: *žinkvavs, apešvebs*. The forms *xvaratoba* and *partoba* attested in Taoian are noteworthy. Here dialectisms precede archaisms.

It is quite productive to derive new verbs from foreign deverbative nominals, there are especially many denominative verbs derived from infinitive: *taḷužoba, kibroba, *ašmeroba, *ažiroba, pišmanoba, zaxmetoba, mera *oba, *ehroba, xizmetoba, *avḡboba, čingnoba, hevesoba, dadingleba, dasunnateba, dabarišeba, *a *atmišeba, gaterbieleba*.

The perspective of the research is to study in detail the materials and compare them with other dialects of the Georgian language; Also, to analyze denominative verbs according to whether they are derived from foreign stems - more often from nominals or from deverbative nouns.

Key words: denominative, verbal stem, southern sub-dialect, structural forms.

² **Nato Beridze.** Phd Student of St. Andrews Georgian University

ძირითადი კვლევა. იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახიდან ქართველური ენებისთვის, ქართველურ ენათაგან კი ქართულისთვის მეტადაა დამახასიათებელი ნასახელარ ზმნათა წარმოება. მიჩნეულია, რომ მრავალფეროვან ახალ ზმნურ ფუძეთა წარმოებით ქართული ენა გამორჩეულია (ჩიქობავა, 1950). ქართულისთვის ნიშანდობლივი ამ საინტერესო მოვლენის საფუძველია ნასახელარ ზმნათა ფუძეთა ნაირგვარობა: საწარმოებლად როგორც სახელების (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელი) ისე სახელზმნის (საწყისი და მიმღობა); უდეტერის, მარტივი ფუძის, წარმოქმნილი სახელის და კომპოზიტის გამოყენება.

ნაზმნარი სახელი ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრების ერთ-ერთი საშუალებაა. მისგან ახალ ზმნათა წარმოება კი კიდევ უფრო საინტერესოა ხელახალი სიტყვაწარმოების თვალსაზრისით. საკითხს აქტუალურობა კიდევ უფრო ემატება, როცა საწარმოებლად უცხოური ფუძეა აღებული.

ნასახელარ ზმნა უხვადაა ძველ ქართულში, ისინი იწარმოებოდა როგორც სახელებისგან, ასევე მიმღობათაგან (*ძყოფობს, მოყურობს, მოკიცხარობს, მაქებლობს*) და გასუბსტანტივებულ მიმღობათაგანაც (ნერგავს, ანეშტებს, მკლველობს, მღდელობს) (ცეცხლაძე, 2006).

ნასახელარ ზმნის საწარმოებელი ფუძის გამრავალფეროვნება სპეციალური ლიტერატურის მიხედვით მეტად თვალსაჩინო ხდება XI-XII საუკუნეთა სამწერლობო და თარგმნილი ძეგლების ენაში. იოანე პეტრიწი გაზმნავებისადმი მიდრეკილებით შოთა რუსთველის უშუალო წინაპრად მიიჩნევა (მელიქიძევილი, 1975: 132).

ჩვენი მიზანია ნაზმნარ სახელთაგან ნაწარმოებ დენომინატივთა შესწავლა სამხრული კილოების: *აჭარულის* (შიდა დიალექტი) და *შავშურის*, *კლარჯულის*, *ტაოურის* (გარე დიალექტები) მიხედვით; ქართულ და უცხოურ (აღმოსავლურ) ნაზმნარ სახელთაგან ნაწარმოები ზმნების გაანალიზება. აჭარულ დიალექტში აშკარაა თურქეთის სამასწლოვანი ბატონობის კვალი, შავშეთი, კლარჯეთი და ტაო მთლიანად მოწყვეტილია ქართულ სალიტერატურო ენას. შესაბამისად, სამხრულ კილოებში რელევანტურია დენომინატივთა ორი მიმართულებით კვლევა: გამოსაყოფია ქართული სიტყვა-ძირებისა და უცხოური ფუძეებისგან ნაწარმოები ნაზმნარი სახელები.

სალიტერატურო ქართულისა თუ სხვა კილოკავებისგან განსხვავებით სამხრულ მეტყველებაში, მეტადრე გარე დიალექტებში, უხვადაა უცხოურ ფუძეთაგან ნაწარმოები დენომინატივი: *ათორბვა, გაჩილფვა, ამოქოქვა, დადირევა, დასაჩძვა, მოჩიზვა, მოსირვა, დახიზრვა, დაფარჩვა, მოყათვა, დათირფნვა, გაგერჩეება, გაფესტილება, ახორთლალება, დადუმშნება, გაგენი-*

შება, გადღეობა, დაჩურუღება, ჩიფთლობა, აყიამეთება, გარიშვეთვა, მორესიტვა, მონუსხვა, მიკალიბება, გარუზილება, დამოსაფირება, დადოსტება და ა.შ.

ისინი ნაწარმოებია არსებითი (ფესტილი, ღუმშანი, კალიბი, ზეირი, დოსტი) და ზედსართავი (დელი, ბერბადი, გერჩევი, გენიში) სახელებისგან, არ დაგვიდასტურებია უცხოური რიცხვითი სახელი ან ნაცვალსახელი ნასახელარი ზმნის ფუძედ.

სტატიაში პასუხი გაეცემა შემდეგ საკვლევ კითხვებს: რა თავისებურებას ავლენს ნაზმნარ სახელთაგან ნაწარმოები ნასახელარი ზმნა სამხრულ კილოებში? დილექტიზმები ჭარბობს თუ არქაიზმები? რამდენად პროდუქტიულია სამხრულ კილოებში ახალ ზმნათა უცხოური ნაზმნარი სახელებისგან წარმოება? მასდარისგან მეტად იწარმოება თუ მიმღეობისგან? რა თავისებურებებს ავლენს უცხოურფუძიანი ნასახელარი ზმნები; რომელი გვარისაა ისინი და რა თემის ნიშანი აწარმოებს მათ?

1. ქართული ფუძე

ა) საწყისი ზმნის ფუძედ

განვიხილოთ ქართულ საწყისთაგან ნაწარმოები ნასახელარი ზმნები სამხრულ კილოებში: ცუნცრუკი – ცუნცრუკებს, ჰუკჰუკი – ჰუკჰუკებს, წიკწიკი – წიკწიკებს. ეანქრუჭი – ეანქრუჭება, ბადუნი – ებადუნება, გვადუნი – ეგვადუნება, ბლაცუნი – ებლაცუნება, ლარწუკი – ელარწუკება, ფერხულობა – ფერხულობს, ჯინჯა – ჯინჯავს, დაფეშება – დაფე(ქ)შვა, გაწარწალება – გაწარწალებს და სხვა.

გაწარწალებს და წავა, არ მეიკითხავს არაფელს (აჭარ.); საძიგველში პური დავფექშვებდით (სირეთიე, კლარჯეთი); დიდნენც წამჯინჯავდა, რამე რუმ არ მიეწონებოდა (ქობ.); ატირტილებს ენასა (მუჰაჯ. ფოკლ.); იკითხვიდა რაცხას, მოაშფებდა (ქობ. მუჰ.); რას წიკწიკებ წარე მუღივით, რას?! (იქვე); ცუნცრუკობს და არის, რამე ენადლება თუ? (აჭარ.); რას ჰუკჰუკებს, ნეტად ვიცოდე, რა უნდა? (იქვე); ამდამ მე ქვაიჯულოფ მოსაფირათ (ჩვენებ. ბორჩხა). რომ ეგვადუნები, გაადგი ფეხი! (აჭარ.); რას ეანქრუჭები, გვერდენები ჩამიმიდე! გაჩერდი და! (ქობ.); ჩუცმია გძელი კაბა და ელარწუკება (აჭარ.); რას ებადუნები ამდენხანს, სახლი ვედარ დაალაგე ხომ? (ბათუმი); ხანჯელ ბოდავს, ებადუნება რაცხიებ (ინეგოლი); ტელევიზიონსა მე ბლაცვი დოლაბი დავარქვი, რას ებლაცუნება (ინეგოლი); ებლაცუნება, არი (შავშეთ-იმერხევი).

ტირტილი ტარტარი, ყბედობა, ლაქლაქია, ჯინჯა – ხელის კვრა, მინიშნება; მოაშფებდა (ზანური სუბსტრატია - ოშუფუ) – ლოცულობდა (ხანუტაიშვილი, 2015: 16); გაწარწალება – გაფანტვა, დაყრა; დაფეშება – ცემით ხორბალზე კანის, ჩენჩოს მოცილება.

საინტერესოა შავშურში დადასტურებული გელოდინო და გერჩოლება: უნდა გელოდინო, მალე მოდი (შავშეთი, 2022: 92); ვოტკა არ მერჩოლება (იქვე).

ტაოურის ლექსიკურ თავისებურებათა შორის ასახელებენ ლაპარაკის სემანტიკის ნასახელარ ზმნებს: *ხვართობა (ხვართი/ხვართობა/ ხვართვა)* და *ფართობა*: აა მესმის, იქ ფართობდი ჰო? (ქუაბაგი, ტაო); მექთებში თურქია ფართობენ (ცუცეკარი, ტაო).

ხვართი ტაოურში -ავ და -ობ თემის ნიშნებით აწარმოებს ზმნას (ტაო, 2020: 751): ჩვენებურა *ხვაათობ* და ვერ მივხდი (ქონობანი); შვილები-მილები თურქია *ხვართობენ*, ჩვენც თურქია *ვხვართობთ* (ტაო); ართვინის იქეთაც სხუა სოფ ვიხვართებთ (ჩვენებ. 173).

ტადლეუჯობასა და ხვართობას ტაოურის ლექსიკურ თავისებურებათა შორის ასახელებენ (ტაო, 2020: 750); (ფადავა, ცეცხლაძე, 2017: 65); შ. ფუტკარაძემ მიაკვლია *გეხვართა, დეგეხვართებოდა, გიხვართო, დეეხვართენით* ფორმებს (ფუტკარაძე, 2016: 300).

ეჯანქრუჭება, ებადუნება, ეგვადუნება, ებლაყუნება, ელარწუკება და მისთ. ზმნები ყურადღებას იქცევს სემანტიკურად და ფორმოზრივადაც. ისინი დიალექტიზმებია და განასახიერებენ ტენდენციას, რომლის შესახებაც ბ. ჯორბენაძე მიუთითებს: აქ (აჭარულში) მდგომარეობით ზმნებს ენაცვლება ვნებითის ყალიბი: *ებადუნება – ბადუნობს, ებაქსუნება – ბაქსუნობს* (ჯორბენაძე, 1989: 561).

შეინიშნება, რომ სამხრულ კილოებში ახალი ზმნა ძირითადად იწარმოება უპირო ფორმათაგან, რომელთაც არნ. ჩიქობავა პირველად მასდარებს უწოდებდა. ესენი მარტივი ან ფუძეგაორკეცებული სახელებია, რომლებიც მოძრაობა-ხმინანობას აღნიშნავენ: *რაკრაკი, ჩუხჩუხი, ტიკტიკი, შრიალი* (ჩიქობავა, 1950: 075). მეცნიერის მსჯელობისამებრ გვაქვს *საწარმოებელი სახელი/მიმღევრობა: ნასახელარი ზმნა/ნაზმნარი სახელი (მასდარი): შრიალი/-შრიალებს/ შრიალი* (ჩიქობავა, 1946: 218). აკად. ა. შანიძის მიხედვით ამ უსაწყისო ნასახელარი ზმნების საწყისი და ამოსავალი სახელი ერთი და იგივეა: *ვლაპარაკობს – ლაპარაკი, ბაასობს – ბაასი* (შანიძე, 1980: 565).

ბაას' ტიპის ფორმები საწყისებია, მათგან იწარმოება ზმნის პირიანი ფორმები, წერა ტიპისა კი მასდარებია და თავად იწარმოება ზმნის აწმყო-მყოფადის ფორმათაგან (ცხადაძე, 1984: 10-12; ზექალაშვილი, 2017: 118).

ბ) მიმღეობა ზმნის ფუძედ

სამხრულ კილოკავებში განსაკუთრებით მრავლადაა მიმღეობისგან ნაწარმოები ზმნა. მიმღეობითი ზმნები ასპექტის სისტემაში მომხდარი ცვლილებების შედეგად აწმყოს ცარიელი ადგილის შესავსებად გაჩენილ

ფორმათა (ნახულობს, კითხულობს, ყიდულობს, პოულობს და ა. შ.) ანალოგისა და უნიფიკაციას ეფუძნება და ქართული ენის დიალექტებში მრავლად გვხვდება, სალიტერატუროში კი – არა. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია ამ ზმნათა სიმრავლე კლარჯულსა (კლარჯეთი, 2016) და შავშურში (შავშეთი, 2022: 91): ამგვარ ფორმებს უჩვეულო ელფერი დაჰკრავს (ფუტკარაძე, 2106: 599). ისინი *ობ'* თემისნიშნაანებია აწმყოს მწკრივში: *სწყენულობს, გლობილობს, გნებულობს, ჩეშულობს, ცნობილობს, ყოფნილობს*:

შავშეთი: არ *მწყენულობენ*, არა (ბაზგირეთი); ცოტაც არ არი, მე *ყოფნილობ*, *ყოფნილობ* (ჩაქ.); (ფხალი) აღარ იქება, აღარ *ვგლობილობ* ყურ (უსტამისი); ისა პოვნილობს (იქვე); გურჯიჯა *გნებულობს* (ბაზგირეთი); სამასი და ორმოზდაათი, *ყოფნილობ* (ჩაქ.); ვითომ თათრობას *ჩეშულობს*, მუდამ არის *ჯუჯუხეთში* (ქობ. ხახუტაიშვილი, 2014).

იმერხევი: დედამთილი არვის არ *გვხათრულობს*; ძალი (რძალი) ვედარ *ქვტანულობს*; ნათესავებსა *ვნატრულობთ*; საქმეში მალიმალ *ვსვენულობთ*.

კლარჯეთი: სხალი ვერ ვჭამ, *მწყენულობს* (ბუჯური); ვერ *გნებულობენ* (ქლასკური), *ცოხნულობს* ბალახს (ქლასკური), მის განაყოფს თუ აქვა, ვერ *ტანულობს* (ხება); ბაბომა მისი ბაბბომა ვერ *ცნობილობს* (შირინსულიე).

ი დარჭი *შემეცოდვილა* (იბრიქი).

მსგავსი სურათი გვაქვს ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების (ორდუელთა) მეტყველება: ჰაერში *ვსროლილობდით*, არ მოიტანა, თავანი დეიხრიტებოდა (ორდუ); პოლიტიკას და ჰეიმიის ლაპარაკი ვერ *ვცნობილობთ* (იქვე); ჰაწას *გნებულობს*, ვერ ლაპარაკობს (იქვე); შენ ლაპარაკს *ვგნებულობ*, ზოგებს ვერ *ვგნებულობ* (იქვე); შენაო, ვირის სიტყვას *ჯურულობ* და ჩემ სიტყვას არ *ჯურულობო?*; ჩემი კონდო *ხტომილობს*, ვერ ილაპარაკებს ჰამა; *ვცნობულობ* იქა კაცს, დეგეხმარება; აგინს *ცნობილობდი* შენ? (იქვე); იქა რაცხამდენი ღრინო დალიო, ვოტკა დალიო, არ *გწყენულობს*, აქ რააზა *გწყენულობს*, ჰა? (იქვე).

ცნობილობს და *ცნობულობს* პარალელური ფორმებია, მათ შორის სემანტიკური სხვაობა არაა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ შავშურში *წონილობს* და *წონულობს* ანტონიმური მნიშვნელობისაა. პირველი ნიშნავს *მოწონებას*, მეორე – დაწუნებას: დარჭი მყავს დასასახლებელი, არ *წონილობენ* გოდა გოგვები (უსტამისი); კაკლის ხეჭოდადნ გამოიდა, კაკლის ხეჭოს აღარ *წონულობს* (სვირევანი) (შავშეთი, 2022: 473). სამხრულ კილოებში, მეტადრე გარე დიალექტებში, ბევრია უცხოურ ფუძეთაგან ნაწარმოები ნასახლარი ზმნა: *ტადლუჯობა, ქიბრობა, ყაშმერობა, ყაჯირობა, ყონუშობა, ფიშმანობა, ზახმე-*

თობა, მერაყობა, ყეჰრობა, ხიზმეთობა, ყავლობა, ჩინგნობა, ჰევესობა, დადინ-
გლება, დასუნნათება, დაბარიშება, წაყათმიშება, გათერბილება. გამახავება.

უცხოური ლექსიკისგან სიტყვები გაზმნავების პროცესში იღებს სალი-
ტერატურო ქართულისთვის დამახასიათებელ მაზმნავებელ ფორმანტებს.
ანალოგიურია ვითარება მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში: „მუჰა-
ჯირთა მეტყველებაში თურქული ენიდან შეუთვისებია გარკვეული ლექსიკა,
დაურთავს ქართული მაწარმოებლები და დაუქვემდებარებია ქართული ენის
ბუნებისათვის (ჩოხარაძე, 2013: 52-53).

მოვიყვანთ მაგალითებს სამხრული კილოებიდან: ხედავს, ფერის
გოგო დგას და ტაღლუჯობსო (ტაო, 2020: 149); დაჯე, ვიყონუშოთ, ხალები არ
დეიგება აქ (ბაზგირეთი, შავშეთი); მე არაბისტანს გიგნები. ვყაშმეოობლით
ერთქმანებში (ორდუ); ბევრი ქიბრობენ (მარადიდი, კლარჯეთი); ჩუუცუამს
ახალი ეთეგი ციცასა და ქიბრობს ეშებში (ინეგოლი); ვქიბრობლით ძუელების
ნათქუამებითა (სტამბოლი); ის შენით იქიბრეფს ახლა (ჰაირიე); თამარ მე-
ფით იქიბრონ გურჯებმა (სტამბოლი); გელინი ფენა გაქიბრდა (იმერხევი);
ახლა ჩვენ ოჯახში ყველადა ნიეთლობს (ზემო აჭარა); ბაღვებზე არ ეიყოლება,
წეიკილებიან, დაბარიშლებიან ისევ (იმერხევი); აბაზებთან ეკინდლებოდით,
დაბარიშლით? (მანატბა, შავშეთი); სეტები არ გაქვან, მე ვუდინგლებ?; რადი-
ოში ვუდინგლებლით (ტაო); გერმანიაში ვიყავ და რადიოს ვუდინგვლავდი
(შავშეთი, ივეთი); დარჭ დაასუნნათებენ (შავშეთი, იქვე); წაყათმიშე (გამორ-
თე) ტელეფონი, წაყურე (ორდუ); ახლანდელი ქალები მარტო იმას ფიქრო-
ბენ, დედამთილ-მამამთილ რაისთინ'ნა ვეხიზმეთოთი (ზემო აჭარა); ქალებ-
მა მოვდონო და მეხიზმეთონო (იქვე); მე ჩემთანაღადა წამუელ, რათ'ნა ვექო-
ლავო, ვეხიზმეთქარო? (ბაზგირეთი); ეჯენჰებიან ერთმანეთსა ბაღვები (აჭარ.
მუჰ.); ნუ ზახმეთობ ერთი, უთხარი, დეისვენე, თავს რაჰათი მიეცი! (აჭარ.);
ვფიშმანობ, ვფიშმანობ, ვერაფერი ვერ მომიგონია (კლარჯ, მუჰ. კირქ.); ახლა
კი ვფიშმანობ იმაზე, ფიშმან გავხდი, მარა რაღა დროის! (ჩაქვი); ჩვენ აქა
კარქა ვართ, ჩვენ იგინს ვფიშმანობთ, ჩურუქსუში (ქობ. მუჰ.); ჯერაც იმაზე
ვფიშმანობ და ვერ გამიგნია (ქდკ); ჩვენ გოგვებს არ იყაბულავთ (ორდუ); ზმე-
ბმაც იყაბულეს (ბაზგირეთი, შავშეთი); აქ კი მევიდენ, ჰამან იყაბულეს (უბე,
შავშეთი); ზოგმა იქ დაჩილენ, ზოგმა კი აქ მოვდენ, ცუდეთ დარეს, ჰეჩ იყაბულეს
(უბე, შავშეთი); იქავრობას ვყაჯირობ სიზმარში. მევიარ ეზოკარ, ჯუმუშავრ
გავხედავ, წისქვილში შევალ, მევიარ (ჩვენებ. ინეგოლი); ერთი ჰაფთა მად
დარჩი, ძვილადა მოგიყაჯირებთ (ინეგოლი); ჯერ მიცა ფარა და ახლა მერა-
ყობს (აჭარა); ვმერაყობთ, რაგორ არიან ჩვენი ახრაბებო (იმერხევი); ბევრი
ვიმერაყე (მარადიდი, კლარჯეთი); ზავალი ომერა დედჷ ყეჰრობს რამდეხა-
ნია (ჩვენებ. ინ.); გურჯები მათთავინადა განყობას ჰევესობენო, გერჩექია?

(ჩვენებ. სტ.); ცოტა არა, ჰოე...უუუ. რას გაჰყავლობს, რას გაჰყავლობს (ტაო, 2020: ქუაბაქი); ე ბაღვი იმდენ ჩინგნობს, ბოლოხან რაცხას იტკენს! (ზემო აჭარა); ნუ თითიზოფ ერთი! (იქვე).

ყაბულობა – ეს ზმნა გვხვდება თუშურშიც და ფერეიდნულშიც: იმ მკვდრებს პატრონებ არ *იყაბულებნავ*, რო ის მკვდარ გამოგატანოთავ (თუ-შური); *ფერეიდნული*: მე ჩემთინ მიყორდა, ჩემ მამას დევეკითხე და ჩემ დე-დას დევეკითხე და თავის დედამ მოიდა *იყაბულესლა* (ქდკ); აბა რამეს გამა-რთმენო, რადღაო რო *იყაბულესო* მე ჰარტი ნადარამო (იქვე); ... და თუ *იყაბუ-ლეს* და თქეს, რო: მოქცემთო, მელა მოალ ექა; და უნდოდა ჩემ თავი და მეც მიმცეს *იყაბულეს* (ქდკ).

ჩვენებურთა მეტყველებაში გვხვდება ამავე ზმნის აქტიური ფორმე-ბი სუბიექტური და ობიექტური წყობისა: *იყაბულა*, *მიყაბულა*. მაგ.: არ *იყაბუ-ლებს* ჩვენი ჰუქუმათი, უნივერსიტეს რექტორმა მიყაბულა (ჩვენებ. 478) (ცეც-ხლაძე, 2015).

ტადლუჯობა ყვინთვაა, *ქიბრობა* (Kibar – დაფასებული, კეთილმო-ბილი) – *თავმოწონება*, *ყაშმერობა* (სპ. Kaşmer – მასხარა, ხუმარა); *ფიშმა-ნი/ფიშმანობა* (სპ. pişman) – დაფიქრება, ორჭოფობა, სინანული, დარდი, წუ-ხილია (თურქ. Kaşmer) – ხუმრობა; *ნიეთლობა* (თურქ. niietli – მარხული, მარ-ხვის დამჭერი) – მარხულობა, მარხვაა, *დააჯიდება* (თურქ. Acik) – აჯიდის ყრა, შურისძიება, სამაგიეროს გადახდა; *დაბარიშება* (barış) – შერიგება, მორიგება, დაზავება; *გათურბილება* (terbiye) – *აღზრდა*; *დადინგლება* (თურქ. Dinlemek) – მოსმენა, გაგება, დასვენება; *ხიზმეთი*, *ხიზმეთობა* (hizmet) – მომსახურება, *ქოლობა* (თურქ. Kole), *ხიზმეთქრობა* - (hizmetkar) მოჯამაგირეობა, მომსახუ-რება; *მონობა*, *მოყაჯირება* (თურქ.) სურვილის შესრულება ნახვით, სიანლო-ვით; *მერაყობა* (თურქ. merak – დარდი, მოუსვენრობა, დაინტერესება); *ყეჰრობა* (არ. kahir – დარდი, ნაღველი, გაჭირვება); *ჩინგნობა* (Cingar – ხმა-ური, ყვირილი, ჩხუბი); *ყავლობა* (თურქ. Kavga) – ჩხუბი; *ჯენგობა* სპ. cang – დავა, ბრძოლა; *ყონუშობა* (თურქ. Konuşmak) – ლაპარაკი; *ზაჰმეთობა* (არ. حمت zahmat) – შრომა, გარჯა; *ყაბულება* (არ. قبول qābul, kabul) – დათანხმება, თანახმა გახდომა; შესრულება, თანხმობის მიღება; *ჰევესობა* (არ. Heves) – ხალისი; *დასუნათება* (არ. Sunnet) – წინადაცვეთა; *თითიზობა* (titiz-ახირებული, წუნია),

ზმნაში „*ვუდინგლებ*“ „*დინგლ*“ ძირი მიღებულია თურქული Dinlemek-ისგან: „*მოსმენა*“, „*დაჯერება*“. უნდა გვეტონოდა „*ვ-უ-დინგლე-ებ*.“ ზმნა „*დი-ნლეს* ფუძისეული „*ე*“ იკარგება ქართული „*ებ*“ თემის ნიშანთან მეზობლო-ბის გამო (ჩოხარაძე, 2013). შავშურში გვხვდება ასევე *ვუდინგლ-ავ*.

ლაზურში, ქართული ენის სამხრულ კილოებში, ინგილოურ-ფერეიდნულსა და მესხურ-ჯავახურში ნასახელარ ზმნებს ხშირად აღწერილი ფორმები შეესაბამება: *კბული ვარ იქიფს (ბუკია, საველე მასალები ლაზური ლექსიკონისთვის), კბული გიგინხადოს (თუფექი ქონაქი); ღმერთო, მიყავი კბული (ჰაირი); კბული იყო, კბული გოქ (ფერეიდნული); ზაჰმეთობა – ზაჰმათის ზიდვა (შრომა, ჯაფა, წვალეა); დაბარიშდენ – ბარიში ქნეს (ლაზური); იმერაყა – მერაყი ქნა, იდარდა, იჰავისა – ჰვესი ქნა, დარაჰათდა – რაჰათი ქნა; რძლობს – რძლობა იკება.*

ასეთ ზმნებში ზმნურ კატეგორიათა ნიშნები მორგებულია თურქული ზმნის ძირს, *გაჰრსდება (გაბრაზდება) – მყოფადი; ვყაშმერობდით (ვხუმრობდით) – უწყვეტელი; დეემოსაფირა (სტუმრად გაუხდა) – წყვეტილი; გვეხი-შმეთონო (გვემსახურონო) (კიკვაძე, 2013: 56).*

ქართული ენის სამხრულ დიალექტებში: აჭარელ მუჰაჯირთა მეტყველებაში, ლივანურში (კლარჯეთი), იმერხეულსა და მაჭახლურში (შავშეთი) უცხოური ძირების გაქართულება, ახალ ფორმათა საწარმოებლად გამოყენება, ქართული ენის სამოსელში წარმოჩენა, ქართულ ენობრივ ჩარჩოში ჩასმა მიჩნეულია ქართული ენის ბუნების სიძლიერედ, მის მდიდარ შინაგან შესაძლებლობად, რომლის მეოხებითაც ოთხ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში უცხო ენობრივ გარემოში მოქცეულმა ენამ თავისთავადობა შეინარჩუნა და გრამატიკულმა წყობამ უცხოური ენის გავლენა თავიდან აიცილა“ (ფუტკარაძეები, 2007: 112-113; ფუტკარაძე, 2008: 72; ფუტკარაძე, 2016: 142; 386, 588; ჯორბენაძე, 1989: 573.

ამრიგად, სამხრულ კილოებში ნასახელარი ზმნის ფუძეთა უმეტესობა *საწყისია: გვადენი, ბლაყენი, ლარწუკი) ფერხელობს, ებადუნება, ეგვადუნება, ებლაყუნება, ელარწუკება და ა. შ.;* ზოგი მათგანი ფუძეგაორკეცებულია: *ცუნცრუკებს, ჰუკჰუკებს, წიკწიკებს.* მასდარისგან ნაწარმოები ფორმა ცოტაა: *ჯინქვავს, აფეშვებს.* საინტერესოა ტაოურში დადასტურებული *ხვარათობა და ფართობა.* აქ დიალექტიზმები ქარბობს არქაიზმებს.

საკმაოდ პროდუქტიულია ახალ ზმნათა უცხოური ნაზმნარი სახელებისგან წარმოება, განსაკუთრებით ბევრია საწყისთაგან ნაწარმოები ნასახელარი ზმნა: *ტაღლუჯობა, ქიბრობა, ყაშმერობა, ყაჯირობა, ფიშმანობა, ზახმეთობა, მერაყობა, ყეჰრობა, ხიზმეთობა, ყავლობა, ჩინგნობა, ჰვესობა, დადინგლება, დასუნნათება, დაბარიშება, წყათმიშება, გათერბილება.*

აჭარულში მხოლოდ ზოგიერთი მათგანია გავრცელებული, მაშინ როცა გარე დიალექტებში ისინი ინტენსიურად გამოიყენება. თურქიზმების შეჭ-

რამ განდევნა შესაბამისი ქართული ზმნები, მაგრამ არცერთი უცხოური ზმნური ფორმა არ დამკვიდრებულა.

კლარჯულსა და შავშურში ხშირად, ასევე აჭარულშიც გვაქვს მიმდებობითი ზმნები, მაშინ როცა ლიტერატურული ფორმები მასდარისგანაა ნაწარმოები: *სწყენულობს (სწყენს), ყოფნილობს (ჰყოფნის), ცოხნულობს (იცოხნის), გლობილობს (იგდება), გნებულობს (იგნებს), ხტომულობს (ხვდება). ცნობილობს და ნატრულობს* გამონაკლისების სახით გვხვდება. აჭარულში მიმდებობითი ზმნები ამდენად გავრცელებული არაა, რაც სალიტერატურო ქართული ენის გავლენით აიხსნება, მისგან მოწყვეტილ დიალექტებში კი ამგვარი ზმნა მრავლადაა.

ნაზმნარ სახელთაგან ნაწარმოებ საშუალი გვარის ზმნათა უმეტესობა *საშუალი გვარისაა და ობ' თემისნიშნია*. იშვიათად არის *ებ' თემის* ნიშნისანიც. დასტურდება მიმდებობის სუფიქსთა მონაცვლეობაც, რომელიც შავშურში სემანტიკურ დიფერენციაციასაც დასდებია საფუძვლად: *წონილობს/წონულობს*.

კვლევის პერსპექტივაა სამხრული დიალექტური მასალების გამოწვლილვით შესწავლა და შედარება ქართული ენის სხვა კილოებთან; ასევე ნასახელარ ზმნათა სტრუქტურული ყალიბების აღწერა და გაანალიზება.

გამოყენებული ლიტერატურა:

ზექალაშვილი, რ. (2017). რ. ზექალაშვილი. მასდარის საკითხისათვის თანამედროვე ქართულში. „ქართველური მემკვიდრეობა“. XXI. ქუთაისი. „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“; <http://ejournals.atsu.ge/Kartvelology/issues/XXI/ZekalashviliRusudan.pdf>

კიკვაძე, მ. (2013). მ. კიკვაძე. თურქიზმები მუჰაჯირთა მეტყველებაში; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქართველოლოგიის ინსტიტუტი. „მუჰაჯირები“. VII კრებული. ბათუმი;

მელიქიშვილი (1975). დ. მელიქიშვილი. იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი. თბილისი;

ნიჟარაძე, შ. (1975). შ. ნიჟარაძე. აჭარული დიალექტი. ბათუმი. „საბჭოთა აჭარა“;

ნიჟარაძე, შ. (1961). შ. ნიჟარაძე. ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი. ბათუმი;

ფაღავა, მ., ცეცხლაძე, ნ. (2017). მ. ფაღავა. ნ. ცეცხლაძე. სამხრული კილოები – ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები. ჰუმანიტა-

- რულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. ქართველოლოგიის ცენტრი. თბილისი. „ივერიონი“;
- ფუტკარაძე, შ. (1993). შ. ფუტკარაძე. ჩვენებურების ქართული. ბათუმი. „აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა“;
- ფუტკარაძე, შ. (2016). შ. ფუტკარაძე. ჩვენებურების ქართული. წიგნი II. ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების ლინგვისტური ანალიზი. ბათუმი. „აჭარა“;
- ფუტკარაძე, შ. (2010). შ. ფუტკარაძე. ზმნური ფორმების წარმოებასთან დაკავშირებული თავისებურებანი იმერხეულში. ბსუს სამეცნიერო ცენტრის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა მიმართულება. აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, XI. ბათუმი;
- ფუტკარაძე, შ. (2009). შ. ფუტკარაძე. ნასახელარი ზმნების წარმოების თავისებურებანი ნიგალის ქართულში. ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში. I. ბათუმი. „ბათუმის უნივერსიტეტი“;
- ფუტკარაძე, შ. ფუტკარაძე, შ. (2007). შუმანა ფუტკარაძე. შორენა ფუტკარაძე. ზმნური ფორმების წარმოების თავისებურებანი ნიგალის ხეობის ქართულში. აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა. IX. ბათუმი;
- ჩოხარაძე, ვ. (2013). ვ. ჩოხარაძე. თურქული ლექსიკა ქართული მაწარმოებით მუჰაჯირთა მეტყველებაში. ბსუს განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი. ქართველოლოგიის ცენტრი. კრებული VII. ბათუმი;
- შანიძე, ა. (1980). ა. შანიძე. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი III. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თბილისი. „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“;
- ცხადაძე, ბ. (1984). ბ. ცხადაძე. მასდარის წარმოება ძველ ქართულში (აწმყოს ფუძის ისტორიასთან დაკავშირებით). თბილისი. „მეცნიერება“;
- ცეცხლაძე, ნ. (2006). ნ. ცეცხლაძე. მიმღეობა ძველ ქართულში. ბათუმი. გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“;
- ცეცხლაძე, ნ. (2015). ნ. ცეცხლაძე. ნეკროტიზმები ქართულში. ბსუს ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის შრომები. ფილოლოგიური მაცნე. II. თბილისი. „ივერიონი“ ISBN-978-9941-9411-6-0; https://www.academia.edu/27476694/Phiological_Works_BSU
- ხახუტაიშვილი, მ. (2014). მ. ხახუტაიშვილი. სალექსიკონო მასალა ქობულეთური კილოკავისათვის (ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების მიხედვით). კრებული IX. ბათუმი. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ჯორბენაძე, ბ. (1989). ბ. ჯორბენაძე. ქართული დიალექტოლოგია. ტომი I. თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“.

საილუსტრაციო წყაროები:

- ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე, ჩოხარაძე, შიოშვილი, მამულაძე, ხალვაში, მგელაძე, შაშიკაძე, კარალიძე, ჯ. (2016). მამია ფაღავა. მერი ცინცაძე. მამია ბარამიძე. მალხაზ ჩოხარაძე. თინა შიოშვილი. შოთა მამულაძე. რამაზ ხალვაში. ნუგზარ მგელაძე. ზაზა შაშიკაძე. ჯემალ კარალიძე. კლარჯეთი: [მონოგრაფია]. თბილისი. „სამშობლო“.
- კლარჯული მასალები. (2009). კლარჯული მასალები. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებული. ტ. VI. ბათუმი;
- კლარჯული კილო. (2014). კლარჯული კილო. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის კრებული. ტ. VIII. ბათუმი;
- კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველება. (2014). კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველება. მასალები. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის კრებული. ტ. IX. ბათუმი;
- ჩოხარაძე, ფაღავა, შიოშვილი, ფარტენაძე, შაშიკაძე, ბარამიძე. (2020). მალხაზ ჩოხარაძე. მამია ფაღავა. თინა შიოშვილი. ნათელა ფარტენაძე. ზაზა შაშიკაძე. მამია ბარამიძე. მარადიდი. მონოგრაფია. ბსუ. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. ქართველოლოგიის ცენტრი. თბილისი. „მერიდიანი“;
- ფაღავა, ცინცაძე, მაკარაძე, დიასამიძე, თანდილავა, (2005). მამია ფაღავა. მერი ცინცაძე. ე. მაკარაძე, რ. დიასამიძე, ლ. თანდილავა, ტაოური მეტყველების ნიმუშები, მ. ფაღავა, მ. ცინცაძე, ეზზარ მაკარაძე. რევაზ დიასამიძე. ლილე თანდილავა. სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. კრებული IV. ბათუმი. „ბათუმის უნივერსიტეტი“;
- ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე, ჩოხარაძე, შიოშვილი, ხალვაში, მგელაძე, შაშიკაძე, ჩვიუმინი, კარალიძე, (2020). მამია ფაღავა. მერი ცინცაძე. მამია ბარამიძე. მალხაზ ჩოხარაძე. თინა შიოშვილი. რამაზ ხალვაში. ნუგზარ მგელაძე. ზაზა შაშიკაძე. რამაზ ხალვაში. **ჯ. ჩვიუმინი**. ჯემალ კარალიძე. ტაო. მონოგრაფია. თბილისი. „მერიდიანი“;
- ფაღავა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, მ. (2022). მამია ფაღავა. მერი ცინცაძე. მამია ბარამიძე. ქართული ენის შავშური დიალექტი. მონოგრაფია. თბილისი. „მერიდიანი“;
- ხახუტაიშვილი, მ. ფუტკარაძე, შ. (2009). მზია ხახუტაიშვილი. შუმანა ფუტკარაძე. ქობულეთური კილოკავის მასალები ქობულეთელ მუჰაჯირთა

- შთამომავლების მეტყველების მიხედვით. ბსუს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო კვლევითი ცენტრი. კრებული VI. ბათუმი;
- ფაღავა, მ. ბარამიძე, მ. ცინცაძე, მ. (2013). მამია ფაღავა. მამია ბარამიძე. მერი ცინცაძე. ორდულ მუჰაჯირთა მეტყველება (მასალები). ბსუს განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი. ქართველოლოგიის ცენტრი. კრებული VII. ბათუმი;
- შიოშვილი, თ. მახარაშვილი, გ. (2013). თინა შიოშვილი. გიორგი მახარაშვილი. მუჰაჯირების ფოლკლორი (ტექსტები). ბსუს განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი. ქართველოლოგიის ცენტრი. კრებული VII. ბათუმი;
- ფაღავა, მ. (2013). მამია ფაღავა. ქართველი მუჰაჯირები ორდუსა და სამსუნის გუბერნიებში (ილებში) (ფოკლორული და დიალექტოლოგიური მასალები). ბსუს განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი. ქართველოლოგიის ცენტრი. კრებული VII. ბათუმი.